რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვეულებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვეულებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და უბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ბბ. მომხმარებელთ ჩვენი ფირმის ჩაისა უმორჩილესად ვსთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბან-დეროლებზე ასოთ პ დ ს

ძმანი პ. დ ს. პაპოვები,

(20—3) სავაჭრო სახლი მოსკოვში.

## ტელეგრამმები

(„კავკასიის-მთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 25 ენკენისთვეს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭ-დილია: ფინანს მინისტრის სადგომში, სახელმწიფო ქონებათა, შინაგან საქ-მეთა და ფინანსის მინისტრის თანა-დასწრებით, გაიხსნა რჩევა საერო ექსპერტებისა, რომელნიც მოწვეულ-ნი არიან მთავრობისაგან სიმთვრალი-სა და გლეხების გარდასახლების თაო-ბაზედ მოსალაპარაკებლად. შინაგან საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ, ხელმწიფის ნებით, ამ ერთის წლის განმავლობაში საერო მცოდნე კაცები მეორეჯერ არიან მოწვეულნი, რათა სახალხო საჭიროების შესახებ საგნე-ბის გადაწყვეტაში ამ მცოდნე კაცებ-მაც წარმოსთქვან თავის აზრი და მიიღონ მონაწილეობა. თქვენ შეგიძ-ლიანთ თავისუფლად წარმოსთქვათ თქვენი აზრი ამ ორ საგნის თაობა-ზედ. შემდეგ მინისტრმა აუხსნა ექსპერტებს—თუ რა წესით უნდა იმუშაონ ამათ და ბოლოს სთქვა: „როდესაც თქვენ თქვენს შრომას გაათავებთ, თქვენს გარდაწყვეტილებას მინისტრთა კრება განიხილავს, იმის განჩინებას გაცნობებთ და ბოლოს ჩვენს საზოგადო გარდაწყვეტილებას სახელმწიფო რჩევასა და ხელმწიფეს წარუდგენთ დასამტკიცებლად. ღმერთ-მა ინებოს, რომ ეს გარდაწყვეტილე-ბა ჩვენი მშობლის რუსეთისათვის სასარგებლო ყოფილიყოს.“

ფინანსისა და სახელმწიფო ქონე-ბათა მინისტრმა წარმოსთქვეს სიტყვა და შემდეგ მინისტრები წავიდნენ.

ექსპერტთა კრებამ, უხუცესის გორდეენკოს თავჯ-მჯდომარეობით, გარდაწყვიტა, რომ ორსავე საგანზე ერთად ჰქონდეს სჯა. თავ-მჯდომარედ კრებამ აირჩია თ. ა. ა. სჩერბაკოვი, იმის ამხანაგად ნ. ა. განგონოვი.

პეტერბურღი, 26 ენკენისთ. გუშინ-წინდელს, გუშინდელს და დღევან-დელს სხდომებზე ექსპერტების კრე-ბამ ორი გარდაწყვეტილება დასდვა: საზოგადო სამიკიტნოები გაიხსნას სოფლებშიო და სამიკიტნოების რიცხვი შემცირდესო.

დღეს ვარშავში მიდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი; დღესვე მოელიან აქ ელჩის ორლოვს.

რიბინსკი. 26 ენკენისთ. აქ გაიხსნა ნავთ-სადგური.

პეტერბურღი, 26 სეკტ. უმაღლესის ბრძანებით, გამოვა ასი მილიონის მანეთის ახალი 5% ბანკის ბილეთები, რომელსაც ისეთი ღირსება და უპი-რატესობა ექნება, როგორც პირველ გამოცემის ბანკის ბილეთებსა; 28 სეკტემბრიდამ ეს ბილეთები გაიყი-დება სახელმწიფო ბანკში და ამ ბან-კის განყოფილებასა და კანტორებში. თითო ას მანეთიან ბილეთის ფასი 92 მან. 25 კაპ. ბილეთები იქნება 100, 500, 1000 და 5000 მანეთის ღირსებისა. მყიდველმა შიგ ვადაზე უნდა შეიტანონ ფასი, უკანასკნელად აპრილში.

გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომ-ლის მალითაც თფილისის სამხედრო გიმნაზიაში პანსიონერების რიცხვი, ორას ოც-და-ხუთის ყმაწვილის მა-გივრად, უნდა იქმნეს ორას სამოც-და-ხუთმეტი.

## ახალი ამბავი.

გუშინ, 27 სეკტემბერს, თბილისის პირველმა სავაჟო გიმნაზიამ გარდაი-ხადა თავის ორმოც-და-ათი წლის არსებობის დღესასწაული. დილით, მეათე საათის ნახევარზედ დაიწყო გიმნაზიის ეკკლესიაში წირვა სა-ქართველოს ეგზარხოსმა, თანაშემ-წეობით რამოდენიმე არხიმანდრიტისა; გარდაიხადეს პარაკლისი და შემდეგ ეკკლესიიდამ ყველა მოპატიჟებული მიიწვიეს სხვა-და-სხვა მცენარეებითა, თაიგულებითა, ბაირაღებითა და ღერ-ბებით მოკაზმულ გიმნაზიის სააქტო ზალაში, სადაც მოისმინეს გიმნაზიის ორმოც-და-ათი წლის არსებობის შე-მოკლებითი ისტორია.

ადგილის უქონლობის გამო, ვერ ვბეჭდავთ დღეს ზოგიერთ საყურად-ღებო ცნობებს ამ იუბილეის შესა-ხებ.

დიდ-ძალ საზოგადოებასა შორის ჩვენ შევნიშნეთ: მთავარ-მმართებლის თანამდებობის აღმასრულებელი თ. ლ. ი. მელიქოვი, თ. გრიგ. ორბე-ლიანი, კოს. მამაცაშვილი, ჩვენი

«დროების» ფელეტონი, 29 სეკტემბ.

## ჩვენი სასულიერო საქმეები

ვაჰ სოფელო რასმიგან ხარ, რა ზნე გჭირსა!
სადაურსა სად წაიყვან სად აღუფხვრი სადით მირსა!

რუსთაველი.

ჩვენს საქართველოში მოქმედობს ამ ჟამად ორი ძალა: ერთი სიკვდილს გვემუქრება, მეორე ცხოვრების დღე-გრძელობის დაცვას. ამ ორთა წინა-აღმდეგ ძალთა შუა, ამ ბოლო დროს ცხადათ გამოაშკარავდა ბრძოლა; თუმცა ეს ბრძოლა ყრუთ გაისმოდა მის შემდეგ, რაც დაიბადა შავი ყო-რანი ჩვენ მოსაკლავად და მერე ჩვენ ლეშზედ სანავარდოდ. რომელი ძალა გამოვა გამარჯვებული ბრძოლის ვე-ლიდგან, ძნელი სათქმელია, მხოლოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ აწი იმარჯვებს ძალა ბოროტებისა, ჩვენი დამარხვისა, ანუ სხვა ნაირად ვსთქვათ ხე ბორო-ტისა, მინემ ცხოვრებისა.

ჩვენ გვქონის არა ერთი ეშმაკი. უკიდურესი ამათგან არის უმეცრება. ამ მრავალ ძარღვა ეშმაკის წყალო-ბით მრავალმა ბოროტებამ ჩვენ-ში მოიდგა ფეხი. რელიგიური რწმე-ნა, მამა-პაპური ენა, სიმამაცე, სიმხნე, რომელნიც არიან დედა-ბოძად ყო-ველი ხალხოსნობის თვით-არსებობი-სა, ჩვენ თითქმის დივკარგეთ. დასა-მტკიცებლათ ჩვენ მივმართოთ საქარ-თველოს ეკკლესიებს, სკოლებს, ჩვე-ნებურ მოხელეების ყოფა-ქცევას, ხალხის ურთი-ერთ დამოკიდებულე-ბას და განწყობილებას, შეძლებისა-მებრ, განვიხილოთ ივინი და ვნახოთ, თუ რამდენათ და რა სისწრაფით მი-გვაჭენებენ სამარის კარამდე და ვნახოთ, თუ რამდენათ და რა ღო-ნით ებრძვის ამათ წინააღმდეგი ძა-ლა.

ჯერ ვსთქვათ ეკკლესიებზე. ქარ-თველების რელიგიური რწმენა წარ-მართობის და ქრისტიანობის დროს მუდამ ყოფილა სასიქადულო და სა-მაგალითო. არც ერთ ამ დროს რე-ლიგიურს ფანატიზმს ჩვენი ხალხი არ გაუტაცნია ისე. როგორც სხვა ხალ-ხები. ისეთი ხალხი არ არის, გარდა ქართველებისა, რომ ამ მავნებელის სენით არ იყოს პირველი. უგა-ნათლებულესი უწინდელს დროში ეგვიპტელები თავის მოგვებით 1565—1499 წლებში ქრისტეს წინ, შემო-ვიდნენ საქართველოში და დაუდგეს ქართველებს მზის, მთვარის და ვარს-კვლავების კერპები და თაყვანი აცე-მინეს მათ. წინასწარმეტყველი და-ნიელი მშიერ ლომების ორმოში ჩა-აგდო სპარსეთის მეფემ მისთვის, რომ იგი სცემდა თაყვანს არა თვით მეფეს, როგორც ღმერთს, არამედ იეგოვას. ქრისტიანობის შემდეგ როდესაც რო-მის პაპმა გამოუცხადა ომი ლიუტერს და უბრალოდ სისხლს ჰღვრიდა, მა-შინ ჩვენში ქრისტიანობასთან ერთად ულელს ეწეოდა მაჰმადის სარწმუნოე-ბა, სომხის ეკკლესია და სხ.

როგორც ჩვენში ხალხმა იცოდა სხვის რჯულის, სარწმუნოების დაფა-სება, ისე, და უფრო მეტად, თავისა, და რადგან სხვის რჯულს ხელს არ ახლებდა, იმასვე ითხოვდა სხვათაგა-ნაც შესახებ თავის რწმენისა. და თუ ვინმე გაიფიქრებდა ამ რწმენის ვნებას, იმას მეხივით ეცემოდნენ და ებრძო-დნენ იმ დრომდის, მინემ ხიფათს არ გადაარჩენდნენ თავის სარწმუნოებას, რომელიც მიაჩნდათ სრულ ჭეშმარი-ტებად, მაცხოვრისაგან მონიჭებუ-ლად.

318 წლის შემდეგ მთელი ჩვენი ხალხი მართლმადიდებელი ქრისტია-ნია და მოწიწებით თაყვანის-მცემელი მაცხოვრისა. ამას, ისტორიის დამოწ-მების გარდა, გვიმტკიცებენ მრავალ-ზედ უმრავლესი ძვირფასად და ხე-ლოვნურად აგებული ეკკლესიები, რომელნიც მოიპოებიან ყოველ კუთ-ხეში ჩვენის პაწაწკინა მამულისა, ჩვე-ნის საქართველოისა. მართალია, 1552 წ. ოსმალეთმა დაიპყრო ჭოროხის ხეობა და მტკვრის სათაურები და მცხოვრებნი ძალათ გაამაჰმადიანა, მაგ-რამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ სამი საუკუნის განმავლობაში იქაური ხალ-ხი კიდევ ღრმად პატივს-სცემს ტბე-თის, ოშკის, ფარხალის და სხალტის დიდებულ ეკკლესიებს და მაჰმადია-ნობაშიაც უბრძოლნია გრდემალ-წე-რაქვის წინააღმდეგ, რომ დაიცვას თავისი ტაძრები და ხელ-უხლებლად ჩააბაროს იგინი თავის შთამომავლო-ბას, მოსაგონებლად თავის გვარტო-მობისა და ვინაობისა. მართალია აგრეთვე, რომ ზოგიერთები მიდიო-დნენ სპარსეთში და ღალატებდნენ ქრისტიანობას, მაგრამ ეს ღალატი იყო გარეგანი, ფორმალური, პოლი-ტიკური და არა ჭეშმარიტი.

უველა ამით მე მინდა ვსთქვა, რომ ქართველი კაცი იყო ღვიძლი შვილი ქრისტეს ეკკლესიისა და მისი ყურ-მოჭრილი მონა. და ამ ნაირი რწმე-ნის მიზეზი იყო ის მაღალი მცნე-ბანი, რომელნიც ყოველ დღე ეს-მოდა ქართველს თავის ღვიძლ ენა-ზედ, ღვიძლი მამის პირიდგან. ქარ-

სტუმრებთაგანი: პროფესორები დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი, დერპტის უნივერსიტეტის პროფესორი ოზსტი და სხვა ბევრი.

აქტის შემდეგ გიმნაზიის დიდ ზალაში გამართული იყო ას სულის მეტისათვის სადილი, რომელზედაც მასწავლებლებს გარდა, ბევრი წარჩინებული პირნი ჩვენის ქალაქისა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი იყვნენ დაპატიჟებულნი.

დღეს გიმნაზიაში ყმაწვილებისათვის ბალია გამართული, რომელზედაც მშობლებიც დაესწრებიან.

ხვალ ტფილისის კლუბში იქნება სადილი ხელის-მოწერით, რომელსაც მმართველნ ამ გიმნაზიაში სწავლა-შესრულებულები.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**საჩხერე, 22 სექტემბერი.** ეს მეორე წელიწადი გადის, რაც იმერეთში ხევისთავები დაწესდა. ყველა ალტაცებით მიეგება ამ წყობილებას და დიდი იმედებით ანუგეშებდა თავი-თავს, მაგრამ იმედები ისევ იმედებათ დარჩნენ და ხევის-თავები ხევის ბოლოებათ. ზოგი მათგანი, რომელიც ვერ მიხვდა თავის დანიშნულებას, გაერია სადაო საქმეებში და ერთი კორიანტელი ააყენა: ესაო და, ადგილების მითვისებაც ქურდობა არისო! უმეტესმა ნაწილმა კი, როგორც გაჩინოვნიკებულმა, (რომელსაც შეადგენდნენ გამოქნილი აზნაურები, ნახელოსნები გლეხები,) ხალხის ყვლეფას მიჰყო ხელი. მოსთხოვეს პირუტყვის პატრონებს გლეხებს ნოტარიუსში შესრულებული საბუთები პირუტყვების კუთვნილობისა და რაც უფრო ბევრი ვერ წარადგენდა, ხევის-თავებსაც ეს უნდათ, რადგანაც იმდენათ უფრო ბევრი სარგებლობა ჰქონდათ და აქვთ.

ერთ სოფელში ხევის-თავებმა შენიშნეს, რომ ერთ ავაზაკს ბევრი ძვირფასი ნაცარცვი ნივთები ჰქონდა: დაიჭირეს, წაართვეს მთელი ნაცარცვი და თავათ გაიწკაპუნეს, ავაზაკი კი ცარიელი პოლიციას წარუდგინეს. მაგრამ ავაზაკმა განაცხადა ეს გარემოება და ითხოვა—ხევის-თავებს კი ნუ შეარჩენთ და ის ნივთები ისევ იმათ ჩააბარეთ, ვისგანაც მომიპარავსო.

ამაზე ახლაც წარმოებს საქმე.

ხევის-თავები დააყენეს ავაზაკების წინაალმდეგ, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ნამეტანი ნაწილი ხევის-თავებისა მფარველიც შეიქმნა მათი. ან რითი შეუძლია მათი წინაალმდეგობა, როდესაც იმაზე უმფროსი ხელობის პირები ვერ ეწინაალმდეგებიან მათ. რომელი ხევის-თავი იქმნება, რომ თავისი თავი სხვას არ ერჩიოს და შესწიროს? ის ხედავს, რომ ადმინისტრაცია გულ-გრილათ ეკიდება ამ ავაზაკებს, თვალით რომ ხედავდეს, თვითონ არას აწყენინებს, სოფლის მამასახლისებს კი სწერს—დაიჭირეთო, თუმც თვითონ უფრო უკეთესი საშუალება ჰქონდა და აქვს მათი დაჭერისა და მამასახლისი, რომ უბატონოთ ხმასაც ვერ გასცემს ეს თვითონაც იცის.

ერთმა გლეხმა, ხევის-თავმა, დაიჩემა თავის ტოლებში: ავაზაკმა $N$ ჩვენი ქვეყანა ამოაგდო, ბევრი საწყალი კაცი აატირა და ჩივილიც კი ვერავინ გაბედაო და მეც რომ რამე დამაკლოს, სწორეთ ვერ მოვითმენ,- ან მოვკლავ, ან თავს შევაკლამო. ეს ავაზაკმა გაიგო, იდროვა და როდესაც ის საწყალი ხევის-თავი ერთი გლეხისას შეექცეოდა თავის ნათესავებში, და მეგობრებში, მივიდა მოკიდა ხელი, შამოაგლიჯა ვერცხლის ქამარი, წაართვა, თუ რამ გააჩნდა, კიდევაც ბევრი სცემა და წაიღა თავისთვის. რას შვრებოდნენ ამ დროს მაყურებლები?! შიშით კანკალებდნენ და როდესაც ავაზაკი გაშოროდა, ხევის-თავს შანი მოუგეს:

— არ იცოდი, კამეჩის მოჭიდავე ხარს რქა არ შერჩებოდა? შენ ვინ ხარ, რომ ეჩემებოდი, როდესაც მაგას სასამართლოც ვერას უბედავს“?

ახლა რას შვრება ეს ავაზაკი (ასეა სხვაც). მოსტაცებს გლეხს ცხენს, ხარს ან სხვა რამეს და თვითონვე შეუთვლის დამკლის უფალს, რომ მისი საქონელი მას ჰყავს; თუ მისცემს ნახევარ ფასს, დაუბრუნებს და თუ არა, გაგზავნის იქ, საიდგანაც უკან ველარავინ დაიბრუნებს. დამკლის უფალი, დარწმუნებული, რომ მასთან არც ჩივილი და არც ძალა არ გამოადგება, ვალულობს, თუ თავათ არ მოეძიება და ამლევს. ამ, ვსთქვათ, შეუთვალა გლეხს: —ერთი ცხვარი გამომიგზავნე, თორემ ძროხას დაკარგავ, ან,—ერთი ძროხა გამომიგზავნე, თორემ ორ ცხენს დაკარგავ. რა გზა აქვს, ხმა ამოუღებლათ უგზავნის.

ამისთანა მაგალითები ცოტა არა ხდება. შეიძლება, მკითხველმა არც კი ირწმუნოს ეს, მაგრამ ნამდვილი ფაქტები კია.

ვსთქვათ, ერთ სოფელში არის ყაჩაღი ავაზაკი, რომელსაც, ამბობენ, მმართებლობა დასაჭერათ ეძებსო. ამ ათი-თუთხმეტი წლის წინეთ ამისთანა ხალხის დამკლეს სახლშიდაც არავინ უშვებდა და ახლა კი ძღვენი, ქრთამები მიაქვსთ იმასთან,—ეგებ მე არ დამაკლოს რამეო.—რაზედაც უნდა დაასახელოს ამ ავაზაკმა, გლეხი იძულებულია შეასრულოს. რასაკვირველია, ის კარგ საქმეზე არ დაასახელებს და ამალობაში საწყალი მშვიდი მუშა გლეხი ხდება მსხვერპლი ავაზაკობისა. ხშირათ გაიგონებთ სოფლის ცხოვრებაში ახალ-გაზდებისაგან ამისთანა ქებას ავაზაკებისას:

„—ძაი ცხენზედა ზის, კარგ იარაღშია ჩასმული, სადაც მიბრძანდება,—თუ ბიჭია და ნუ ემსახურებიან ბატონივით; ანუ ხევისთავი და ან პრისტავი დაუხვდეს დასაჭერათაო.“

ამ ქებას ისეთი გრძნობით იტყვიან, ვითომ შენატრიანო ამისთანა მეფურ ცხოვრებას. ძიდევაც ბევრი შენატრის და კიდევაც მისდევს მათ კვალს, ასე რომ სოფლებში ავაზაკებს სწო-

---

თველის მამა-მოძღვარი მაშინ იყო, როგორც მაღალ ზნეობის არსება კაცთა შორის, ისე სწავლა-განათლების წარმომადგენელი, ხალხის სუსტის მაჯის გამაცხოველებელი. არა - ერთხელ მჭევრ - მეტყველურ, მაღალ ზნეობის სიტყვას ალავერდის, შუამთის, წმ. ნინოს, ნეკრესის და სხვა მონასტრებში, მცხეთის სობოროში, ბედისის, ოფიზის, ტბეთის ეკკლესიებში ანდამატიურის ძალით მიუზიდავს ხალხი და ძმურის კავშირით შეუკრავს იგი. ვინ მოსთვლის ყველა იმას, რაც ჰხდებოდა მაშინდელ დროში ყველა პატარა ეკკლესიებში!

44 წლის შემდეგ ეკკლესიების გვერდით დაარსდნენ სკოლები, რომელშიაც ბერძნულ, ასსირიულ ენებსაც ასწავლიდნენ. *) მაშინდელი მასწავლებელნი იყვნენ ეკკლესიის მოძღვარნი, მონასტრების წინამძღვარნი. ვინ იყო გამოჩენილის, ქართველთა მანათობელის პოეტის შოთა რუსთაველის მასწავლებელი? იგივე მოძღვარი.

დიახ, ასეთ მაღალ ხარისხზე იდგა მაშინ ჩვენი ეკკლესია და ჩვენი რელიგიური რწმენაც.

რა არის ეხლანდელი ჩვენი ეკკლესია და მოძღვარი?

ჩვენ ვერ შევძლებთ ყველაფრის გამოთქმას მათ შესახებ, რადგან მათი დახატვა რთული საგანია.

მაგრამ ჩვენი და მოძღვრის ძალღონე, ზნეობითი, გონებითი მხარეები ყველამ იცის.

**ზნეობითი მხარე.** ქრთამების ხვეჭა, შური, მარხვის გატეხა, ჯვარის-წერისთვის სასყიდელზედ აყალ-მაყალის ატეხა, უმადურობა და სხვა კაცის დამამცირებელი ხასიათები შეადგენენ უმთავრეს მავნებელ თვისებებს, თუ არა ყველა ჩვენი მოძღვრებისა, უმრავლესისა მაინც.

**გონებითი ძალა.** მთელს იმერეთში ძლივს მოიპოება 10-15 განათლებული, ესე იგი ტფილისის სემინარიაში კურს შესრულებული მღვდელი. სხვანი საყველ-პურო მეცნიერებით აღჭურვილნი არიან. ზოგმა ამათგან არ იცის წერა; კითხულობენ უთავბოლოდ, ჩათვლით.

ამერეთში კურსოვნიკები მეტია. ამ კურსოვნიკებში უფრო კარგათ ჩვენი ხალხის ისტორია, ავან-ჩავანი ძველებმა იციან, მინემ ახლებმა, რადგან პირველთ წინეთ ასწავლიდნენ ამ საგნებს, ახლებს კი მაგიერ თავები გაჭედილნი აქვთ ბერძნულის აორისტებითა, ლათინურის სუპინუმითა, ფრანცუზულ, ნემეცურ და ურიულ ენების ლიტონ სიტყვებითა.

გარდა ამისა პირველნი საგნებს უფრო პრაქტიკულის მხრით სწავლობდნენ, მეორენი ფორმალურის. გარდა ამისა ენა, რომელზედაც სწავლობდნენ პირველნი, იყო ღვიძლი ქართული; თუ კლასში არა, შინაობაში, კლას გარეთ მაინც. ამ ენას ჰშველოდნენ ოსური, თათრული, რომელნიც, ყოველთვის ეხმარებოდნენ მათ. ისინი სწავლობდნენ აგრეთვე მკურნალობას პრაქტიკულად თვით სემინარიაშია. ეხლანდელებს კი უსწავლიათ კონტის ფილოსოფია(?).

ჩემის აზრით, უენო სემინარიელს სჯობია ენიანი შინაურად მომზადებული მოძღვარი, რადგან იგი ხალხს ადვილად გადასცემს თავის გრძნობას, და მათ სატკივარსაც მალე გაიგებს.

ასე და ამ ნაირად ჩვენი ხალხი, ეკკლესიები დარჩნენ უპატრონოდ ანუ ისეთის პატრონით, რომელიც უფრო წააგავს მეომარს მტერთან საბრძოლველად უიარაღოთ გასულს ბრძოლის ველზედ. როგორც მეომარი აღიჭურვება იარაღით, ისე მოძღვარი ცოდნით, მაღალ ზნეობით; მხოლოდ ამ თვისებებს შეუძლიანთ მისცენ მოძღვარს ძალა, გაჰკაფოს უმეცრება, დათრგუნონ ავზნეობა ხალხისა და აღამაღლონ ეს უკანასკნელი.

ჩვენი მღვდლები, არა თუ აღჭურვილნი არიან ყველა ამაებით, არამედ იმოდენ სწავლასაც მოკლებულნი არიან, რომ ხალხთან ცრუ-მორწმუნეობა, მკითხაობა სჯერათ.

ეკკლესიებში მაღალ ზნეობითი ქადაგებანი წლით-წლამდე აღარ გაისმის. თვით ჩვენს დედა ქალაქში, ჩვენ სიონში ქადაგების კათედრიდგან აღარ გადმოდის ხალხზე მდუღარე ჭეშმარიტების ძალა ქრისტეს მაღალ სწავლისა. ათასში ერთხელ თუ გაიგონებს კაცი უხალისო, უგემურ ქადაგებას, ისიც უეჭველად რუსულს ენაზედ—ქართულზე იშვიათად.

საინტერესოა ვიცოდეთ: რას აკეთებენ ბერები დარიის, ნათლისმცემლის, წმ. ანტონის, შუამთის, წმ. ნინოს, ქვათახევის და სხვათა მონასტრებისა? ნუ თუ ესეთი შემოსავლიანი მონასტრები, ვერ გამართავდნენ სკოლებს და ვერ მოჰფენდნენ განათლების სხივებს ჩვენ უმეცარ ქვეყანას. მაგრამ სადაა მათში იმდენი მამულის სიყვარული, იმდენი ხალხის სიყვარული, რომ დაივიწყონ საკუთარი ნეტარება და ცოტა რამ უწილადონ კეთილ საქმესაც.

ქადაგება რომ მოაკლდა ეკკლესიას და თვით მოძღვარნი შეიქნენ არა სულიერ მამათ ხალხისა, არამედ ფორმალისტებად, ჩინოვნიკებად, „მაიტა ვსჭამოებად,“ ჩვენ ხალხსაც გული გაუგრილდა და ეკკლესიებიდგან გამოვიდა. ქართველ კაცს ეკკლესიაში, ბატების საძოვარზე გარეკივით, მათრახებით და შტრაფებით მიერეკებიან.

ჩვენი ხალხი განშორდა ეკკლესიას. სამაგიეროდ მიემკედლა მკითხავს და ცრუ - მორწმუნეობის მორევში შეტოპა. უწინდებული ძმობა, სიყვა-

---

*) ნახე: Истор. среднихъ вѣковъ, ტომები II და III გ. 17 ბარათაშვილისა.

რეთ სკოლა აქვსთ თავის ხელობის და ამ სკოლას დღე-დღეზედ ემატება შაგირდები.

ადმინისტრაცია რას შვრება? იმას, რაც ზევით დაინახეთ—უმფროსი უნცროსსა სწერს და უნცროსი კიდევ თავის ხელქვეითს და თითონ კი ხელ შიაც ყავდეს, თავისუფლებას აძლევს.

(დასასრული შემდეგ №-ში)

## წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო! მე წავიკითხე თქვენს პატივცემულ გაზეთ „დროებაში“ № 197-ში, ხაშურიდგან გამოგზავნილი ამბავი, რომ ქალებმაც წაბაძეს იარაღით ჩხუბში კაცებსაო და ვითომც ნატალია ნანაშვილის ქალს პეტესბუას ცოლს სამჯერ რევოლვერი ესროლოს კონდუქტორის ისჩენკოს ცოლისათვის და თან წაყვანილი ყმაწვილისათვის რევოლვერის ტყვიას ყურზედ წაეკრას.

სამწუხაროთ, „დროების“ კორრესპონდენტს გაუგონია რევოლვერის გასროლა, და საქმის გარემოება კი არ შეუტყვია რიგზედ და არ უცნობებია სიმართლითა.

მე პეტრე ესაბუას ცოლს, ნანეიშვილის ქალს, შესახებ ამ საქმის გარემოებისა მსურს სიმართლით ვაცნობო მკითხველთა, და გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ ჩემს წერილსა.

პირველი, მე ისჩენკოს ცოლთან ცნობა არა მაქვს და არც არას დროს ჩხუბი არ მომსვლია, და რევოლვერს რათ ვესროდი?

ვითომც რევოლვერის სროლის მიზეზი ყოფილა, რომ ერთს სამსახურიდგან გამოსულს მეისრეს პატარა ძაღლი ეჩუქებინოს ისჩენკოს ცოლისათვის, და ეს ძაღლი შემოჩვეულიყოს ჩემთან, ამის წასაყვანათ მოსულიყოს და ამ დროს მოუვსლოდეს ჩხუბი, სამჯერ რევოლვერი მესროლოს და ღვთით ბავშვი სიკვდილს გადარჩენოდეს.

საქმე ამაში მდგომარეობდა:

ოც-და-რვას აგვისტოს ღამის მატარებლით გავისტუმრე ჩემი ქმარი ქ. თფილისში, გავატანე იმას შვილი სასწავლებელში მისაცემათ, და მე ამ ღამეს დავრჩი მარტოთ. შემდეგ ჩემის ქმარ-შვილის გასტუმრებისა არ გამოუვლია ნახევარ საათს, რომ პატარა ძაღლმა შექნა ყეფა; დაუგდე ყური, ფანჯარას დაარაკუნეს და ამავე დროს შემოვიდენ ეზოში; მაშინ დაუძახე: „ვინ ხართ, ან ამ დროს რათ მოსულხართ?“ ამაზედ პასუხს ვერ ველირსე. შემდეგ მოსამსახურე ბიჭს დაუძახე, რომ ფანჯრიდან გაეხედნა. რადგანაც იმის ოთახის ფანჯარას მოსახური არა ჰქონდა, გაიხედა და შემდეგის სიტყვებით დამიძახა: —ქალბატონო, რაზბონიკები არიანო? ამავე დროს მოატანეს კარებზედ ძალა, რომ შემოემტვრიათ. მაშინ იძულებული შევიქენი და ორი სროლა რევოლვერიდგან გავისროლე, რომელიც უპირდაპირე ოთახიდგან კარებს. ორივე სროლა კარებში გავარდა. ძალა-მოტანებული ავაზაკები გაიქცნენ.

ამ შემთხვევაზედ მეორეს დღეს სადაც ჯერ იყო გამოვაცხადე.

ჯერეც ნამდვილი არ ვიცი—ვინ იყვნენ, თუმცა მე მქონდა ეჭვი ერთს ჩემს მეზობელზედ, რომელთანაც ერთი დამნაშავე იმალებოდა ხოლმე და რომელსაც პოლიციამ რამტელჯერმე სახლიც გაუჩხრიკა, და ეგულებოდათ იმასთან სხვა-და-სხვა ნაპარევი ნივთები. ის დამნაშავე მეორეს დღეს ჩემის შემთხვევისა ხაშურში აღარ იხედებოდა.

რაც შეეხება ისჩენკოს ცოლის სროლას, მე ზემოთაც მოგახსენეთ, თვალითაც არ დამინახავს და არც ვიცნობ; და თუ ჩემმა გასროლილმა ტყვიამ იმის ბავშვი კინაღამ მოჰკლა, ძალიან შესაძლებელია! სჩანს ისჩენკოს ცოლი თვის შვილით იმ ავაზაკებს თან მოჰყოლია. ამას სამართალი გამოიკვლევს..

რაც შეეხება, რომ ხაშურში მალ-მალ ხდება ხოლმე ამისთანა შემთხვევები, მეც ამაზედ და სხვა ყველანიც თანახმა არიან.

ამასთანავე კორრესპონდენტი ამბობს, ვითომ ერთხელაც რევოლვერი გამესროლოს და იმ დროს მუშა შიშით ძირს ჩამოვარდნილიყოს.

ნუ თუ ეს ვისგანმე დასაჯერებელია, რომ რევოლვერის ხმამ კაცი ძირს ჩამოაგდოს? მაშ თუ ამას ვერწმუნებით, წრეულს ხაშურსა და სურამ შუა ჯარებს სროლა ჰქონდათ და შენობაზედ ველარავინ იმუშავებდა, რადგანაც სროლის ხმა ისე ისმოდა ხაშურში, როგორც რევოლვერის გამსროლი გაიგონებს თავის რევოლვერის ხმასა. მე არც არას დროს რევოლვერი სახალხოთ გამისროლია და არც სადმე მუშა ჩამოვარდნილა....

ნატალია ესაბუასი.

ხაშური 23 სექტემბერს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბე-

---

რული დაავიწყდა. შეიქნა ავი, ქურდი, მკილავი, ტრაბახი, ფიცის დამრღვევი, ურწმუნო. იქამდის დაეცა ხალხის ზნეობა, რომ ეკკლესიაში შესვლა ეზარება, მღვდლის სასაცილოდ აგდება გროშად დაფასდა. ეკკლესიები, სადაც ერთ დროს (18 საუკუნის განმავლობაში) ზნეობით საქმეების გარდა იხილვებოდნენ საერო, საზოგადო საქმენი, ეხლა ერთ ჩირად არ ფასდებიან. ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ხალხს ეკკლესია არ უყვარს, არა, ის არის, რომ ეკკლესიაში ის ხედავს ისეთივე უგუნურ კაცს, როგორც თვითონ არის.

ამ ნაირად ჩვენი ხალხის სარწმუნოება შეირყა.

არა თუ ქართულს ისტორიას, არამედ ქართულს გეოგრაფიასაც კი შემოკლებულ პროგრამმით ასწავლიან. ასე რომ ამ ჩვენ თელაველმა შაგირდმა გაცილებით მეტი იცის დედა-მიწის მეორე გვერდზე გადავარდნილ სახალინის ამბავი, მინემ 50 ვერსის სიშორეზე მდებარე ქალაქ სიღნაღისა. იმ სკოლებში, რომელიც პირველ დროში განსაკუთრებით ჩვენი შვილებისთვისააშენეს, ეხლა უეგზამენოთ არც ერთს არ იღებენ, ამის გამო მათში ქართველი მოსწავლეობა შეადგენს უმცირედ ნაწილს.

ქართული ენის მაგიერად შემოიღეს რუსული, ლათინური, ბერძნული, ნემეცური, ფრანცუზული, ურიული და ზოგიერთი ისეთი საგნები, რომელნიც, არც ჩვენ სულს და არც ხორცს რგებენ, თუ არ ვნებენ.

უმეტესი ნაწილი ჩვენი მოსწავლე შვილებისა ამისთანა მძიმე ტვირთ ქვეშ იჭყლიტებიან და ბაიყუშდებიან, სამუდამოდ იღუპებიან, რადგან იმათ ითხოვენ სასწავლებლებიდგან, სხვა საქმეს ხელს ველარ ჰკიდებენ, გადაჩვეულნი არიან.

აი მიზეზი რომ საქართველოს სასწავლებელნი, სწავლის მსურველთა შედარებით, ცარიელნი არიან. 500-600 კაცში გიმნაზიაში ასრულებს 15—20 შაგირდი, ესე იგი 5%-ზედაც ნაკლები; თბილისის სემინარიაში, რომელშიაც უნდა მიიღოს სწავლა თითქმის 2,000 შაგირდმა, 10-15 ყმაწვილი ასრულებს ყოველ წლივ, ესე იგი $^{7}/_{10}$%-ზე ნაკლები.

სოფლის სკოლა, რომელშიაც ყველაფერი ღვიძლ საფუძველზე უნდა იყოს დამყარებული, საცა „მშობლიური“ უნდა გარს ერტყას მოსწავლეს, იქაც ღვარძლი ითესება. ქართველ ბავშვს ატიტინებდნენ რუსულად; ალტაცებაში მოდიოდნენ ზოგიერთები, როდესაც ქართველი ბავშვი მათ „კოზლიკს“ „ჩაიჩიკ პაიჩიკ“ და სხვას უმღეროდა. ამისთანა ყმაწვილს დაასაჩუქრებდნენ ხოლმე და სხვას, რომელმაც მშვენიერი ქართული კითხვა იცოდა, იმას ყურსაც არ ათხოვებდნენ, რადგან „ჩაიჩიკ-პაიჩიკი“ არ იცოდა. ნუ თუ სამი წლის განმავლობაში სოფლელი ყმაწვილი ისე შეისწავლის რუსულს, რომ ცხოვრებაში გამოადგეს?! ერთ ჭკუის-კოლოფს განუზრახავს ქართული „მამაო ჩვენოს“ რუსულ ნოტებზედ გადაღება და აგრეთვე ზოგიერთი ლოცვებისა. იმის აზრით ისეთი კაცები, როგორც პოპეჩიტელი ან სხვა, საზოგადოთ, „დიდი“, რომ მოვა სკოლის სანახავად, მაშინ ქართველი შაგირდები„ მამაო ჩვენოს“ იგალობებენ რუსულ მოტივზე. არა თუ სასაცილოდ აიგდეს ჩვენი ენა, არამედ ჩვენი ხმებიც, ის ხმები, რომლებზედაც იგალობებიან ყველა ლოცვები! და ასე სკოლაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას და ცდილობს ქართული ენის მაგიერ ჩაგვიდგას რუსული; ქართული ხმების მაგივრად რუსული. მაგ. „წმიდა იყავნ სახელი შენი“-ს მაგიერ „ცმიდა იკავნ...“ „ბაყაყი ყიყინებს“, „ბაკაკი კიკინებს“, ჭავჭავაძეს მაგიერ „ჩავჩავადზე“.

მოხელეების ყოფა-ქცევა ხალხში. უმეტესი ნაწილი მოხელეებისა ჩვენში არიან უცხო ტომის ხალხი, რომელთაც არ იციან არც ზნე, არც ჩვეულება არც ავი, არც კარგი ჩვენ ხალხისა. ამიტომ ისინი გულ-გრილად ეკიდებიან საქმეს და მხოლოდ „ჩინოვნიკობენ“.

მეორეს მხრით მას სულთა-მხუთავ მაჯლაჯუნასავებ ახრჩობს ვაჭარი. ამ გვარ მძიმე საპალნეს ქვეშ ნელ-ნელა სუსტდება ხალხი და ეს სისუსტე სამარეს უთხრის მას...

ყველა ამ გვარ მოვლინებათა წინაამდეგ „ჩვენ“ გავიღვიძეთ ამ რამდენიმე წლის წინეთ. გავხსენით სოფლის სკოლები, რომლებშიაც არიან მრავალი სინიდისიანი მასწავლებელნი, რომელთაც მშვენიერად მიჰყავთ საქმე. დავაარსეთ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელმაც რამდენიმე სკოლა გამართა, დავაარსეთ „დრამატიული საზოგადოება,“ გავმართეთ ბანკები, გვაქვს ორი ჟურნალი და ორი გაზეთი; შევსწირეთ ფულები, რომ მოგვცენ ნება გავმართოთ უნივერსიტეტი, ქუთაისში საკუთარი სემინარია.

ერთის სიტყვით, მართალია, ჩვენი გვარტომობის დასაცველათ ჯერ ბევრი ზომები არ მიგვიღია, მაგრამ რაც მიგვიღია, ისიც კარგია...

მაგრამ ეს მხოლოთ ნიშანია ჩვენი ხალხის გამოფხიზლებისა და წინწაწევისა. სანუგეშოა, რომ ქართველმა გამოიღვიძა, და მალე მტერს ტყვია-წამალით პირ-და-პირ დაუდგა. ამ ბრძოლაში, სასურველია მხოლოდ, რომ ყოველმა ქართველმა მიიღოს მონაწილეობა, თორემ

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

ფისტონი.

ბიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. სისუსტის ავათმყოფობისა.

## განცხადებანი

### დოქტორი ბახუტოვი

გადავიდა სადოვის (ბალის) ქუჩაზე, სოლოლაკზე, აფენდიევის სახლებში, № 56.

ავათმყოფებს—ქალებსა და ყმაწვილებს—მიიღებს იმავე წესით, როგორც ადრე იღებდა ხოლმე.

(5—5)

### ქ. ქუთაისში

ახლათ გაღებულს ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეების მაღაზიაში მიღებულია განსაკუთრებით ყოველ გვარი სამზღვარს გარეთის საქონლები, მაგალითებრ: კაცის, ქალისა და ბავშვების ფეხსაცმელები, ქუდები სხვა და სხვა ახალის მოდისა, პერანგები, კოფთები, მოსასხმელები, ბალდადები, კასინკები, ხელთათმანები, წინდები, ქამრები, ოქროს ნივთები, ქალის უნაგირები ხავერდისა და ღორის ტყავისა, სტოლისა და ჩაის ჭურჭლები, ჭიქები, სარკეები, კროტები, სკამები, ლამპები, საყავეები. პარფიუმერიიდგან: ვასალამაზებელი ორიზა და ჭორფლის წამალი ლე-პანდესი, პუდრები ორიზა, ველუტანი და ანტეა. აგრეთვე ისყიდება სხვა და სხვა დუხები. ყოველი საქონელი 1-ის ხარისხისა არის და ისყიდება უფრო იაფათ ვინემ სხვაგან, ასე რომ თითოეულის მანეთის საღირელს 25 კაპეიკამდის აკლებენ. (5—2)

### ვექილი ლებედინსკი

გადავიდა საპიორის ქუჩაზედ ბაბანასოვის სახ. სამხედრო გიმნაზიის პირდაპირ. იღებს სასამართლო საქმეებს. (3—3)

### ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

*(Maison de confiance)*

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის: წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—44)

### ინგლისის მაღაზიაში

თმის ამ-მყვანი



ბაკ-ბას-ტერი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. ჩხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—54)

### ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურკლი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხელქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი გაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—15)

**შეშა** ისყიდება იაფათ, კუკიის ხიდის ყურზედ, ნაბერეჟნის ქუჩაში. აბრამ. (5—4)

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—40)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლისა, [illegible], დანებისა, კოვზებისა, ჩანგლებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შოკ კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემბივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ხელქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავჭანას გიარები. (100—28)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

## ფოთი-თფილისის რკინის გზა

ფოთი-თბილისის რკინის გზის სამმართველო ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სეკტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის და უკანვე წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის იმ რიგით, მატარებელში კი, რომელნიც მუდმივ მიდიან-მოდიან —იგინი არ მიიღებიან.

30 სეკტემბერს

| თბილისიდამ | მცხეთიდამ |
|---|---|
| ღამისა 6 საათზე. | ღამისა 7 საათ. |

1-ლს ოქტომბერს

| | | |
|---|---|---|
| დილისა | 6 საათზე 53 მინუტზე | დილისა 8 საათ. 11 მინ. |
| | 8 საათზე 13 მინუტზე | 9 საათ. 11 მინ. |
| | 10 საათზე 01 მინუტზე | 11 საათ. 01 მინ. |
| | 11 საათზე 03 მინუტზე | შუადღისას 12 საათ. 05 მინ. |
| შუადღ. | 12 საათზე 10 მინუტზე | 2 საათ. 15 მინ. |
| | 1 საათზე 24 მინუტზე | 4 საათ. 25 მინ |
| | 3 საათზე 13 მინუტზე | 5 საათ. 22 მინ. |
| ღამისა | 6 საათზე 13 მინუტზე | ღამისა 7 საათ. 14 მინ. |
| | 7 საათზე 17 მინუტზე | 8 საათ. 18 მინ. |
| | 8 საათზე 21 მინუტზე | 9 საათ. 55 მინ. |
| | 9 საათზე 58 მინუტზე | 11 საათ. 05 მინ. |

რომ ადრინდელივით ვიწროობა და უწესოება არ იქნას. ბილეთების გაყიდვის დროს ბილეთები გაიყიდება მარტო თბილისის სტანციაზე მცხეთაში წასასვლელად და წამოსასვლელ-ათ ვინც იყიდის ბილეთს მცხეთამდის ის ვალდებულია, თბილისში წამოსასვლელი ბილეთიც იყიდოს. ამ ბილეთებით შეიძლება მოგზაურობა მარტო იმ ეკსტრენნი მატარებლებით, რომელნიც 30 სეკტემბერს და 1 ოკტომბერს მცხეთასა და თბილისს შუა ივლიან.

რადგანაც თითოეულს პოეზდზე იქნება: 1 კლასში 48 ადგილი, 2 კლასში—128 და 3 კლასში 600, მოგზაურებს არ შეუძლიათ საყვედური განაცხადონ, როცა ეს ადგილები მთლათ დაჭერილი იქნება და უნდა უცადონ სანამ სხვა პოეზდს დაამზადებენ.

იმ მოგზაურებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთაში, მეიდანზე, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის თერთმეტ საათამდის. (3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი